

დაესაჯა გმირი სიკეთისთვის, თითქოს ის ისტორიული პირი ყოფილიყოს? უნაყოფოა მიჯაჭვის არა მხოლოდ „ზუსტი თარიღის“ ძიება, არამედ საერთო მისი დათარიღების მცდელობაც კი, რადგან მითოსი ზეისტორიული მოვლენაა და, რომელი გამოჩენილი მკვლევარიც არ უნდა ვარაუდობდეს III-II ათასწლეულებს, ეს ვარაუდი ჰიპოთეზადაც არ ჩაითვლება. პრობლემა ალბათ ის უფრო უნდა იყოს, თუ როდის შეიქმნა მიჯაჭვული გმირის მითოსი საქართველოში, ქართულ ენაზე. დღედღობით კი „ამირანიანის ჩანაწერები“ არათუ ქრისტიანულ ეპოქას, XIX ს-აც არ სცილდება.

წიგნს ერთვის ვაჟა-ფშაველას (ორი), აკაკი წერეთლის (ორი), შოთა ნიშნიანიძის და გალაკტიონ ტაბიძის თითო ლექსი.

ამირანზე ბევრი ლექსი დაწერილა. თითებზე ჩამოსათვლელია ქართველი პოეტები, რომელთაც არა შეუთხზავთ ლექსი ამირანზე. მათ ერთად შეკრებას, შესაძლოა, ჰქონდეს რაღაც აზრი, თუნდა იმის საჩვენებლად, თუ რას ხედავენ ქართველი პოეტები ამ ტრაგიკულ გმირში, მაგრამ ამირანის თქმულების ვარიანტების აკადემიურ გამოცემაში მათი ადგილი ნამდვილად არ არის. ასევე: აკადემიური გამოცემისთვის სრულიად შეუფერებელია წიგნის თავში სხვადასხვა ადგილად მოთავსებული ეპიგრაფები, რომლებიც შეიცავს ანა კალანდაძის, ეფრემ მეორის, ლევან გოთუას სტრიქონებს, და წიგნის ბოლოს მიტროპოლიტ თადეოზის ლექსი, და მის გვერდით ქართული ანბანი. რა უნდა ჰქონდეს ადამიანს ამ ავტორთა საწინააღმდეგო, მაგრამ ძნელია იმის მიხვედრა, თუ რას სძენენ ამ წიგნს მათი სტრიქონები.

ზურაბ კიკნაძე

**ამბროსი ხელაია. მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში. ჭელიშის ვარიანტი „ქართლის მოქცევისა“: მწიგნობრობა ქართული. სასულიერო მწერლობა 12, ტომის შემდგენელ-რედაქტორი ფ.მ.დ. მიხეილ ქავთარია, გამ-ბა „ციცინათელა“, თბ., 2011, 492 გვ.**

გამომცემლობა „ციცინათელამ“ სერიით „მწიგნობრობა ქართული“ მე-12 ტომად გამოსცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის (ხელაია) ნაშრომი „მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“, რომელიც ამბერის ფსევდონიმით 1902-1904 წლებში ნაწილ-ნაწილ ქვეყნდებოდა ჟურნალებში „განთიადი“ და „ცხოვრება“. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ნაწილი „მოგზაურობისა“ პირველად იბეჭედება ამ გამოცემაში. გამოცემა ეკუთვნის სამეცნიერო-საექსპედიციო ჟანრს, რომლის არაერთი ნიმუში შეიძლება დავასახელოთ. რად ღირს თუნდაც გასული საუკუნის მეორე ნახევარში პლატონ იოსელიანის მოგზაურობათა მთელი სერია ვრცელი აღწერილობებითა და ისტორიული

ექსკურსებითურთ (რომელთა ხელახალი პუბლიკაცია მეტად საშური საქმეა); ან დიმიტრი ბაქრაძის „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“; მხოლოდ რაჭასთან დაკავშირებით გვაქვს ექვთიმე თაყაიშვილის „არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში“ (1919-1920 წლებში) და გიორგი ბოჭორიძის „რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები“ (1923-1926 წლებში). მოგზაურობა კათოლიკოს ამბროსისა გაცილებით ადრეულ ხანისაა.

თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მკითხველმა მაინც მიიღო მეტად საინტერესო აღწერილობა რაჭის ეკლესია-მონასტრებში დაცულ ხელნაწერთა და სიწმიდეთა. ამ პუბლიკაციის მნიშვნელობას ზრდის ის გარემოება, რომ იგი ეკუთვნის ჩვენი ეკლესიის სახელოვან მამამთავარს, რომლის მოწამეობრივი ღვაწლი წარუშლელია საქართველოს ეკლესიისა და ერის ცხოვრებაში. და ახლა, როცა წმიდანთა დასს შერთული მეუფე ამბროსი ჩვენი ეკლესიისა და ერის მეოხეა სასუფეველში, გვაქვს პატივი ვისმენდეთ მის საუბარს იმ სიწმიდეთა შესახებ, რომელთა დიდი ნაწილი დღეს, შესაძლოა, დაკარგულიც იყოს. ყოველ შემთხვევაში, პუბლიკაციის კომენტარები არაფერს ამბობს მათი შემდგომი ბედის შესახებ.

ჩვენს წინაშეა მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი ინფორმაციის შემცველი ტექსტი, რომლის ექვსასამდე გვერდი (შენიშვნებითურთ) შეუწელებელი ინტერესით იკითხება. წიგნი თავისი დიაპაზონით და მრავალფეროვანი მასალის მომცველობით შეიძლება მხოლოდ დიმიტრი ბაქრაძის ზემოთხსენებულ „არქეოლოგიურ მოგზაურობას“ შევადაროთ. ავტორი არ იფარგლება ოდენ ეკლესიათა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების პუბლიკაციით და აღწერით, მხოლოდ მის მიერ ადგილზე ნანახი მასალის აღწერით, ხელნაწერთა ანდერძებით. მისი ამოცანა გაცილებით ფართოა: მისი თვალსაწიერის გარეშე არ რჩება ზეპირი გადმოცემები, რაც მას მოუსმენია თავისი იქ მოღვაწეობისა თუ მოგზაურობის პერიოდში. „მოგზაურობის წიგნი“ მოიცავს ფოლკლორულ გადმოცემებს, ანდრეზებს, ამბებს რაჭის საგვარეულოთა, გამოჩენილ სასულიერო და საერო პიროვნებათა შესახებ, საეკლესიო თუ საერო წეს-ჩვეულებებს, რომელთა დიდ ნაწილს პირველად ამ წიგნში ვეცნობით. „მოგზაურობის წიგნი“ გამდიდრებულია ლიტერატურიდან („ქართლის ცხოვრება“, ლათინი მისიონერები, მკვლევართა პუბლიკაციები...) მოყვანილი პასაჟებით და დამოწმებებით.

არქიმანდრიტი ამბროსი არ შეიძლება არ დაეფიქრებინა რაჭის, „ამ მივარდნილი კუთხის“ სიძველეთა მდგომარეობას, მის უცნობობას საზოგადოებისთვის. ავტორისთვის, იმჟამად ქელიშის მონასტრის წინამძღვრისთვის, აუხსნელია ამ სასულიერო და კულტურული

კერისადმი გულგრილობა, მისი შემწნეველობა რაჭაში მოგზაურთა მხრიდან, რომ არაფერი ვთქვათ მის მოუხსენებლობაზე მატიანეებში. „ქართ. ცხოვრება“ მდუმარებს ქელიშის მონასტრის წარსულზე. არც ბატონიშვილი ვახუშტი, რომელიც თავის გეოგრაფიაში და მისგან შედგენილ იმერეთის რუქაში იხსენიებს შაორის ახლო-მახლო მდებარე ეკლესიებს, არას გვეუბნება ამ მონასტერზე. ამნაირ სიძუნწეს იჩენენ ახალ დროის ისტორიკოსები და სიძველეთა მკვლევარნი. რაჭა სამეცნიერო მიზნით დაუვლიათ და დაუთვალეიერებიათ გამბას, დიუბუა დე მონპერეს, აკადემიკოს ბროსეს (1848 წ.), პროფ. ნ. კონდაკოვს, დიმ. ბაქრაძეს (1889 წ.) და გრაფინია უვაროვისას, მაგრამ ქელიშზე არც ერთი მათგანი ხმას არ იღებს, თითქოს პირი შეუკრავთო“ (გვ. 20). ეს უყურადღებობა თითქოს „ამ მივარდნილი კუთხის“ ბედისწერაა.<sup>1</sup>

ბუნებრივია, ავტორის გულისტკივილი ჩვენი წარსულის მემკვიდრეობის განადგურების გამო გაუთავებელი შემოსევებისა ან, თუნდაც, შიდაომების პირობებში, მაგრამ იგი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ „ერთმორწმუნე სახელმწიფოს საფარველს ქვეშ ყოფნის დროს, მხოლოდ ერთ საუკუნეში, დავკარგეთ იმდენი, რამდენიც საფიქრებელია მონგოლ-ოსმალ-სპარსელების დროს მთელ 6-7 საუკუნის განმავლობაში არ დაგვიკარგავს“ (გვ. 11). მაგრამ ძნელია, საქართველოში რუსეთის მყოფობას დაბრალდეს არა თუ „დაუდევრობა-შეუგნებლობის“, არამედ უმეცრებისა და მკრეხელობის გულსაკლავი ფაქტები, რომელთაც არქიმანდრიტი ამბროსი გზადაგზა ამზეურებს. რა შეიძლება ითქვას, ამ ფაქტზე, რომელიც მისთვის მღვდ. მიხეილ ასათიანს უამბუნია: „ერთი გელათში ნასწავლ მღვდლისაგან გამიგონია, რომ ზოგიერთი მონასტრის შეგირდები, – სამღვდლო კანდიდატები, ტყავის ხელნაწერ ფოლიანტებიდან პაიჭ-ქალამნებსაც კი იკერავდნენ“ (გვ. 10).

ერთადერთი ახსნა ამ დაცემულობას ამ მშვიდობიან ხანაში შეიძლება მოეძებნოს ფრიად საგულისხმო მოსაზრებაში, რომელსაც ავტორი გვთავაზობს და რომელიც ქრისტიანობის ისტორიითაც მართლდება: „დევნულობა ხშირათ განამტკიცებს სარწმუნოებას, ხალხს აძლევს მხნეობას, დაიცვას თვისი ეკლესია. დევნულობის დროს ხშირათ სარწმუნოება უფრო ბრწყინავს, ვიდრე მშვიდობიანობის დროს, მაგრამ ყველა ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც იდევენება თავი-

1 ამ სტრიქონების ავტორს გასულის საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ქელიშის მონასტრის ადგილზე დახვდა „გატილების სიბილწის“ ნიშნები. ყველაფერი იავარქმნილი იყო. არც კი არსებობს ასეთი მნიშვნელოვანი კერის (სადაც არქიმანდრიტმა ამბროსიმ „მოქცევის“ ხელნაწერს მიაკვლია) ისტორია მისი ჩასახვიდან და გაუქმებამდე. უნდა ითქვას, რომ რაჭა არც დღეს არის განებივრებული ყურადღებით, იგი თითქოს არც კი არსებობს, როგორც ადამიანებით დასახლებული კუთხე. იგი თითქოს მხოლოდ უტილიტარული თვალთახედვით არის საინტერესო.

სუფალი, თვითმოქმედი ეკლესია, რომელიც ახლა, საუბედუროდ, არ არის“ (გვ. 47).

არქიმანდრიტი წინ წამოსწევს წმ. ხატებისა და ჯვარის მიმართ ქართველ ქრისტიანთა თავისებურ დამოკიდებულებას, ზოგიერთ ჩვეულებას, რომლის საფუძველს იგი ადრექრისტიანულ ხანაში ვარაუდობს, სიწმიდეთა მიმართ პატივისცემის თავისებურ გამოხატულებას, რასაც საქართველოში მოხვედრილი მოგზაურებიც ადასტურებენ (გვ. 237-246). თავისებურებანი ქრისტიანი ხალხის ყოფაში მას სრულიად კანონზომიერ მოვლენად მიაჩნია, რასაც იგი საგანგებოდ აღნიშნავს, რამდენადაც, როგორც წერს, „რუსების საეკლესიო მოღვაწენი საქართველოში არ იყვნენ კმაყოფილნი ქართველების განსხვავებული შეხედულებით ხატებისა და სხვა სიწმიდეთა პატივისცემაზე. ამაში გასაკვირიც არაფერია. ორ სხვადასხვა ხალხში არ შეიძლება ყველაფერ წვრილმანებში ერთნაირი იყოს სარწმუნოებრივი შეხედულობა და ჩვეულებანი. განსხვავება უსათუოდ უნდა იყოს...“ (გვ. 238). ეს აზრი მით უფრო მნიშვნელოვნად ჟღერს, რომ ის არა საერო პირს, საეკლესიო მოღვაწეს, ბერს, არქიმანდრიტს ეკუთვნის.

წიგნში დიდი ადგილი ეთმობა, რაჭის ისტორიული პანორამის გადმოცემის თვალსაზრისით, რაჭის საგვარეულოებს, განსაკუთრებით და ძირითადად, წულუკიძეთა სახლს, რამდენადაც ეს გვარი დომინირებდა ამ კუთხეში და წარმოადგენდა როსტომ რაჭის ერისთავის მთავარ მეტოქეს. ავტორი თავს უყრის დოკუმენტურ და ზეპირ მასალას მათ აღზევება-დაკნინებაზე, რაჭიდან მათ განდევნაზე და კვლავ დაბრუნებაზე იმერეთის მეფის (სოლომონ I-ის) მხარდაჭერით, მათ ღვაწლზე ქელიშის მონასტრისადმი, მათგან შეწირულობებზე და სხვა და სხვა... ავტორი ამ საგვარეულოს მნიშვნელობისათვის საჭიროდ რაცხს, მკითხველის ყურადღება მიაქციოს წულუკიძეთა შტოების გენეალოგიურ ხეზე XV ს-დან (გვ. 216-217).

„მოგზაურობის“ ეს პასაჟები, იმედია სტიმულს მისცემს ისტორიკოსს „ამ მივარდნილი კუთხეების“ რაჭისა და ლეჩხუმის არცთუ იდილიური ისტორიის დასაწერად.

არქიმანდრიტი ამ ნაშრომში აქვეყნებს ფოლკლორისტიკისთვის სრულიად უცნობ და ძალზე ვრცელ, მისი სიტყვებით, „აპოკრიფული ხასიათის“, შელოცვას, რომელიც საგანგებოდ არის შეთხზული ათაბაგ ყვარყვარე III-ის (†1498) შვილისშვილის და დაუდგენელი გიორგი „მეფეთა მეფის“ ასულის ქრისტინე ქეთაონ-ყოფილისთვის, რომელიც, როგორც ჩანს, რაღაც სენით ყოფილა შეპყრობილი, თავად იგი და მისი მეუღლე ვასილიოსიც, ერობაში ვახუშტი (სამცხის შალიკაშვილთა თუ დიასამიძეთა საგვარეულოდნ). ამ შელოცვაში ნახსენებია დღესდღე-

ობით არარსებული უცნობი წარმომავლობის სახელები: მართალიხონი, იანქო, გულბუღახი, ამოანი (გვ. 115). მოგვყავს რამდენიმე ამონარიდი ამ შელოცვიდან, ისინი საგანგებო ყურადღებას იმსახურებენ, რამდენადაც არც ერთ ცნობილ შელოცვაში ამგვარი ფორმულები და რეალიები დადასტურებული არ არის.

„მოვიდოდა და მოიზანდა კაცი ყოვლითა სენითა შეპყრობილი, ვილარცა მერმე ჰკითხა ყოვლად წმიდამან ძესა მისსა: უფალო, ძეო და ქრისტეო ჩემო, რა არის წამალი კაცისა, რომელიც სენითა მრავლითა შეპყრობილ იყოს, იგუშმებოდეს და იტანჯებოდეს. ბრძანა უფალმა ჩემმან: საწერელი კალამი ოქროსა და ფიცარი ბროლისა: დაწერა უფალმან ხელითა თვისითა ათორმეტი სიტყვა, ათორმეტი ჟამი დღისა და ათორმეტი ჟამი ღამისა, რომელსა ჟამსა შესრულ იყო, გინა დღისით გინა ღამით, მსწრაფლ განვიდეს ბრძანებითა ღვთისათა...“ (გვ. 117);

„... კვალად გფუცებ, რაიცა ხარ კაცისა ამისთანა სახელით ქეთაონ, განემორე შენ ცხრო, ქარ ცხრო, სპარს ცხრო, ჰურია ცხრო, რა გინდა წარმართ ცხრო და ხურვებაჲ ჟამისა და უჟამოსა და უქმისა, დღისით ნუცა ღამით, თქუჴნ გიბრძანებ ქუეყანასა ზედა განვედ და განემორე პატრონს ქეთაონს...“ (გვ. 118);

„... თუ შესრულ იყო, მსწრაფლ გამოვედ კაცისა ამის ქეთაონისგან და მიმართე დევთა და ქაჯთა, გუჴლთა და ვეშაპთა და უდაბურთა ადგილთა...“

„... ესე წიგნი დაიწერა ძალითა ქრისტესითა, ძალითა სულითა წმიდისათა: სახლსა და კარსა ამას და ყოველთა ხელსაქმართა, მოგზაურობასა და აღდგომა და ქუჴჯდომასა, ებოსა და კარსა და ყოველსა მონაგებსა პატრონის ქეთაონისსა ნუ შეეხებით ეშმაკი და ყოველი სული, რომელი არს ეშმაკისგან. წმიდანო მარტვილნო მოწამენო, ევედრენით მოწყალესა ღმერთსა და შეეწიენით, მეოხ ეყვენით ქეთაონს: შენ თუ ცეცხლი ხარ, მე წყალი ვარ: შენ თუ რკინა ხარ, მე სული ცხოველი ვარ ჭეშმარიტისა ღვთისა და მქუანან ბრძანებანი უფლისა ჩუჴნისანი, განსდნებოდი ვითარცა ცვლი, განცანქრევი, ვითარცა ნაცარი. არის ხე ერთი, ძირნი მისნი საკუნეტელნი და ფურცელნი მისი საკუმეველნი...“ (გვ. 122-123).

იმედია, რომ ეს დღემდე გამოუყენებელი მასალა გახდება ფოლკლორისტის თუ ეთნოლოგის ჩალრმავებული კვლევის საგანი.

„მოგზაურობას“ ერთვის 1907 წელს წაკითხული ვრცელი მოხსენების ტექსტი „ქართლის მოქცევის“ ჭელიშური ვერსიის შესახებ, რომლის აღმომჩენი თავად იყო. ეს არის პირველი ანალიზი ტექსტისა მის გამოქვეყნებამდე. ავტორი მოხსენების დასასრულს თავმდაბლურად

და, ამასთანავე, პირველად მოჩენის სიამაყით აცხადებს: „ჩვენ, როგორც არა სპეციალისტს ისტორიის კითხვებში, არ შეგვეძლო უფრო საბუთიანად შეგვედგინა ეს მოხსენება და ამისთვის შეიძლება ვერ დავაკმაყოფილეთ პატ. საზოგადოების ცნობისმოყვარეობა. მაგრამ, თუნდაც ამ მოხსენებამ ვერ დააკმაყოფილოს ისტორიის მცოდნენი, თუნდაც ჩვენი ვარიანტიდან მოყვანილი ადგილები და მათზე ჩვენი მოსაზრებანი არ გამოდგენენ ყურადღების ღირსად, მაინც, ჩვენის აზრით, ისიც საკმაოდ უნდა ჩაითვალოს, რომ ამის შემდეგ გვეცოდინება არსებობა კიდევ ერთის ქართლის მოქცევის ვარიანტისა, რომელსაც სახელ ედება – „ჭელიშის ვარიანტი“ მართო ამ უკანასკნელი მოსაზრებითაც უნდა გვეპატიოს კადნიერება“ (გვ. 492),

ამ მცირე რეცენზიაში ძნელია, ყველა საინტერესო ფაქტის წამოწევა. თითოეული მკითხველი, რიგითი თუ მკვლევარი, თავისთვის საჭირო ინფორმაციას უთუოდ ამოიკითხავს ამ წიგნში. საბედნიეროდ, სახელოვანი მღვდელმთავრის „მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“, რომელიც „მწიგნობრობა ქართულის“ მე-12 ტომში დაიბეჭდა, აწ უკვე ყველასათვის ხელმისაწვდომია.

ზურაბ კიკნაძე

***REFRANERO. ესპანური ანდაზების მცირე კრებული. შემდგენელი შორენა თავბერიძე, რედაქტორი სოფიო შილაკაძე. თბილისი: „ნეკერი“, 2011, 163 გვ.***

„Refranero“ ესპანური ანდაზების პირველი კრებულია ქართულ ენაზე. მასში თავმოყრილია შვიდასზე მეტი ესპანური ანდაზა და დართული აქვს სრული სამეცნიერო აპარატი: წინასიტყვაობა, შენიშვნები, ქართული შესატყვისები ანბანის რიგზე, ლექსიკონი და ბიბლიოგრაფია. კრებულის შემდგენელია შორენა თავბერიძე, ფოლკლორისტი, ფილოლოგიის დოქტორი; რედაქტორი – სოფიო შილაკაძე, ფილოლოგი, მთარგმნელი, სალამანკის უნივერსიტეტის დოქტორანტი. სწორედ ფოლკლორისტი-ფილოლოგისა და მთარგმნელ-რომანისტის კომპეტენციები და პროფესიონალური თანამშრომლობა განსაზღვრავს ნაშრომის მაღალ სამეცნიერო დონეს.

მე თავს ავარიდებ ანდაზების კრებულის შეფასებას ვიწრო ფილოლოგიური პოზიციიდან. ყურადღებას გავამახვილებ ძირითადად მის მნიშვნელობაზე ფოლკლორისტიკისთვის და ზოგადად კულტურის ისტორიის კვლევისათვის, მით უფრო რომ ამ მიმართულებით კრებულში ფართო ასპარეზია გადაშლილი: მკითხველი ანდაზების მეშვეობით ეცნობა ესპანელი ხალხის ისტორიას, კულტურას, ყოველ-